ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5221701

ნომერი: AR1792564

თარიღი : 04.12.2020

გაცემის თარიღი : 11.12.2020

გაცნობის თარიღი : 12.12.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

null;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი აბესაძე პ/ნ 21001004743
- თბილისი ალ.წურწუმიას ქ. N 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.წარმოდგენილი იქნას ფოტომონტაჟი შორი ხედიდან სადაც საპროექტო მონაკვეთი გამოჩნდეხა ხიდთან ერთად (დაზუსტდეს მთლიან გაყოლებაზე იცვლება თუ არა ვიტრაჟები) დამატებით წარმოდგენილი იქნას ორთო ფოტოზე მონიშნული საპროექტო არეალი.
2.ფასადის ნახაზთან ერთად წარმოდგენილია კონკრეტული სარეკლამო აბრები, მონტაჟზე კი სარეკლამო ადგილები, დაზუსტდეს ამ კუთხით სამუშაოები და მონტაჟზე ნაჩვენები იქნას საპროექტო სარეკლამო აბრები.
3.წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა.
4.წარმოდგენილი იქნას არსებული ფასადის ნახაზიც.
5.წარმოდგენილი იქნას დამატებითი ჭრილი კონდიციონერის აგრეგატების მონაკვეთში. ნებისმიერი დეტალის საზ. სივრცეში შეჭრასთან დაკავშირებით გაითვალისწინეთ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების, 33-ე მუხლის მოთხოვნები. იმ შემთხვევაში თუ კონდიციონერების საზ. სივრცეში შეჭრა ნორმებთან თავსებადია წარმოდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.
6.წარმოდგენილი იქნას ვიტრინის გადასაადგილებელ მონაკვეთის არსებული და საპროექტო სქემატური ჭრილი.
7. სამსახურის რეკომენდაციით განსახილველ ადგილას საჩრდილობლის მოწყობა არამიზანშეწონილია, გთხოვთ ამოიღოთ სამუშაოების დოკუმენტაციიდან.
8. განცხადბაზე წარმოდგენილი თანხმობას, გაცემულია მეიჯარისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაზე (პროექტზე), თუმცა არ დგინდება რა დოკუმენტაცია წარედგინა მეიჯარეს. შესაბამისად, წარმოდგენილ უნდა იქნას მეიჯარის - შპს „ჯავას“ თანხმობა ამ განცხადებით მოთხოვნილ სამუშაოებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.